საიდ. №72097/03

IR 1155565

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №87-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), ი. მუღალაშვილი, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „სპლატ-კოსმეტიკა ლიმიტიდ”-ის (SPLAT-COSMETICA Limited) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №87-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №392/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BIOMIO” (საიდ. №72097/03 IR 1155565) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-3 კლასის საქონლის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ და

აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მინადუღის მოსაცილებელი პრეპარატები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების; ანტისტატიკები საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის; შეკუმშული ჰაერის ბალონები (დალაგებისა და დასუფთავებისას გამოსაყენებელი); გასაპრიალებელი ქაღალდი; ავეჯისა და იატაკის გასაპრიალებელი საშუალებები; ფეხსაცმლის ცვილი; საქარე მინების საწმენდი სითხეები; ვულკანური ნაცარი წმენდისათვის; დიატომური მიწა (საპრიალებელი); საპნის ხის ქერქი რეცხვისათვის; კორუნდი (აბრაზივი); თეთრეულის ლილა; წვერ-ულვაშის საღებავი; სახამებელი; სკიპიდარის ზეთი გაცხიმვისათვის; გამწმენდი ცარცი; სარეცხის ჩასალბობი პრეპარატები; პეწის მიმცემი პრეპარატები (გასახამებელი); გასაპრიალებელი პრეპარატები; სარეცხისათვის ბზინვარების მიმცემი პრეპარატები; ქსოვილის დამარბილებლები რეცხვისათვის; მათეთრებელი საშუალებები; მშრალი წმენდის პრეპარატები; იატაკის ცვილის მოსაცილებელი პრეპარატები; გამწმენდი პრეპარატები; შპალერის გამწმენდი პრეპარატები; მილების გამწმენდი საშუალებები; ფერების გამახალისებელი ქიმიური პრეპარატები (სარეცხი საშუალება) გამწმენდი ხსნარები; სკიპიდარი გაცხიმვისათვის; მათეთრებელი სოდა; გამწმენდი სოდა; დამცავი შემადგენლობები ტყავისათვის (საპრიალებელი); ნიშადურის სპირტი (სარეცხი საშუალება დეტერგენტი); ფეხსაცმლის საცხი; გაცხიმვის საშუალებები, სამრეწველო დანიშნულების გარდა; სარეცხი საშუალებებით გაჟღენთილი ნაჭრები დალაგებისათვის; ნატრიუმის თეოქი” (scale removing preparations for household purposes; antistatic preparations for household purposes; canned pressurized air for cleaning and dusting purposes; polishing paper; polish for furniture and flooring; shoe wax; windscreen cleaning liquids; volcanic ash for cleaning; tripoli stone for polishing; quillaia bark for washing; corundum [abrasive]; laundry blueing; beard dyes; laundry starch; oil of turpentine for degreasing; cleaning chalk; laundry soaking preparations; smoothing preparations [starching]; polishing preparations; laundry glaze; fabric softeners for laundry use; bleaching preparations [laundry]; dry-cleaning preparations; floor wax removers [scouring preparations]; rust removing preparations; cleaning preparations; wallpaper cleaning preparations; preparations for unblocking drain pipes; color-

brightening chemicals for household purposes [laundry]; scouring solutions; turpentine, for degreasing; bleaching soda; washing soda, for cleaning; preservatives for leather [polishes]; ammonia [volatile alkali] [detergent]; shoe cream; degreasers other than for use in manufacturing processes; cloths impregnated with a detergent for cleaning; soda lye) (მე-3 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 თებერვლის №392/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „BIOMIO“ ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია “ბიოტა ბიტკისელ ილაჯ ვე კოსმეტიკ ლაბორატუარლარი ა.ს.,“ -ს (BİOTA BİTKİSEL İLAÇ VE KOZMETİK LABORATUARLARI A.Ş.) სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „biomeen“ (რეგ. №936389, რეგ. თარიღი: 10/07/2007). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნებს მხოლოდ სიტყვის დაბოლოება აქვთ განსხვავებული, რაც არ სძენს ნიშნებს საკმაო განმასხვავებლობას მე-3 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, მე-3 კლასის ნაწილში.

აპელანტი კომპანია „სპლატ-კოსმეტიკა ლიმიტიდ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშნები არის მსგავსი ზოგიერთი ელემენტებით, მაგრამ ნამდვილად არ არიან აღრევემდე მსგავსი. დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება, როგორც ვიზუალურად, ასევე ფონეტიკურად. ორივე ნიშანი სიტყვიერია, დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია ნუსხური (პატარა) ასოებით და შედგება 7 ასოსაგან, განცხადებული ნიშანი შესრულებულია ასომთავრული ასოებით (დიდი) და შედგება 6 ასოსაგან. განცხადებული ნიშანი

“BIOMIO” და დაპირისპირებული ნიშანი „biomeen” ახდენენ სრულიად განსხვავებულ ზოგად შთაბეჭდილებას და ამის გარდა, არიან სრულიად არამსგავსნი ფონეტიკური კრიტერიუმის მიხედვით. განცხადებული ნიშანი “BIOMIO” შედგება 6 ფონემისაგან, 4 ხმოვნისაგან, 2 თანხმოვნისაგან და 2 მარცვლისაგან, მაშინ როდესაც დაპირისპირებული ნიშანი „biomeen” შედგება 6 ფონემისაგან, 3 ხმოვნისაგან, 3 თანხმოვნისაგან და 2 მარცვლისაგან. ორივე სიტყვა იწყება ერთნაირად - „bio”-დან, რომელიც შემოკლებულია სიტყვა ბიოლოგიურიდან და ითვლება ფორმანტად, რადგან ხშირად გამოიყენება სასაქონლო ნიშნებში, მაგალითად, საქპატენტში მე-3-ე კლასისი საქონლისათვის რეგისტრირებულია – “BIORENE”, „БИОДЕРМА”, “BIOXET”, “BIOMAT”, “БИОКРИМ”, “BIOSCREEN”, “BIOTHERM”, “bioblas”, “БИОНОРМА”, “Biovitrum”, “BIOLANE” და ა.შ. შესაბამისად, ნაწილს „BIO” არა აქვს განმასხვავველობა და ნიშნების დაპირისპირების დროს უნდა შედარდეს მხოლოდ ნაწილი „MIO” და „meen”. საქართველოში რიგითი მომხმარებლისათვის არ არის უცხო სიტყვა „mio”, ის ცნობილია იტალიური სიმღერებიდან და იტალიური კინემატოგრაფიიდან და აზროვნებაში მკვეთრად ასოცირდება სიტყვასთან “ჩემი”, ესე იგი სიტყვა “BIOMIO” ითარგმნება, როგორც „ბიო ჩემი” ან „ჩემი ბიო”, რაც იწვევს მშობლიურ გრძნობებს საქონლისადმი, რომელიც მარკირებულია ამ აღნიშვნით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ნაწილს „meen” არა აქვს მნიშვნელობა. აპელანტის მითითებით, სიტყვები გამოითქმება სხვადასხვანაირად – „ბიომიო” და „ბიომიინ” (უფრო ხანგრძლივად). იმის მიუხედავად, რომ გაცხადებული საქონელი ეკუთვნის იმავე კლასს, რომელსაც დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი, ნიშანი “BIOMIO” გამოიყენება მხოლოდ სარეცხი ფხვნილებისათვის, ჭურჭლის სარეცხი საშუალებებისათვის და სახლის (ბინის) დასალაგებლად განკუთვნილი საშუალებებისათვის, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „biomeen”, გამოიყენება ძირითადათ პარფიუმერიისათვის და კოსმეტიკისათვის (ეთერზეთები, დეზოდორანტები, სუნამო და სხვა). იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, განმცხადებელმა, კომპანია „სპლატ-კოსმეტიკა”-მ შეიტანა განცხადება WIPO-ში

იმის თაობაზე, რომ შემცირდეს საერთაშორისო რეგისტრაციის 1155565 - “BIOMIO” საქონლის ჩამონათვალი, დარჩეს მხოლოდ მე-3 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალი: „მინადუღის მოსაცილებელი პრეპარატები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების; ანტისტატიკები საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის; შეკუმშული ჰაერის ბალონები (დალაგებისა და დასუფთავებისას გამოსაყენებელი); გასაპრიალებელი ქაღალდი; ავეჯისა და იატაკის გასაპრიალებელი საშუალებები; ფეხსაცმლის ცვილი; საქარე მინების საწმენდი სითხეები; ვულკანური ნაცარი წმენდისათვის; დიატომური მიწა (საპრიალებელი); საპნის ხის ქერქი რეცხვისათვის; კორუნდი (აბრაზივი); თეთრეულის ლილა; წვერ-ულვაშის საღებავი; სახამებელი; სკიპიდარის ზეთი გაცხიმვისათვის; გამწმენდი ცარცი; სარეცხის ჩასალბობი პრეპარატები; პეწის მიმცემი პრეპარატები (გასახამებელი); გასაპრიალებელი პრეპარატები; სარეცხისათვის ბზინვარების მიმცემი პრეპარატები; ქსოვილის დამარბილებლები რეცხვისათვის; მათეთრებელი საშუალებები; მშრალი წმენდის პრეპარატები; იატაკის ცვილის მოსაცილებელი პრეპარატები; გამწმენდი პრეპარატები; შპალერის გამწმენდი პრეპარატები; მილების გამწმენდი საშუალებები; ფერების გამახალისებელი ქიმიური პრეპარატები (სარეცხი საშუალება) გამწმენდი ხსნარები; სკიპიდარი გაცხიმვისათვის; მათეთრებელი სოდა; გამწმენდი სოდა; დამცავი შემადგენლობები ტყავისათვის (საპრიალებელი); ნიშადურის სპირტი (სარეცხი საშუალება დეტერგენტი); ფეხსაცმლის საცხი; გაცხიმვის საშუალებები, სამრეწველო დანიშნულების გარდა; სარეცხი საშუალებებით გაჟღენთილი ნაჭრები დალაგებისათვის; ნატრიუმის თეთქი” (scale removing preparations for household purposes; antistatic preparations for household purposes; canned pressurized air for cleaning and dusting purposes; polishing paper; polish for furniture and flooring; shoe wax; windscreen cleaning liquids; volcanic ash for cleaning; tripoli stone for polishing; quillaia bark for washing; corundum [abrasive]; laundry blueing; beard dyes; laundry starch; oil of turpentine for degreasing; cleaning chalk; laundry soaking preparations; smoothing preparations [starching]; polishing preparations; laundry glaze; fabric softeners for laundry use; bleaching preparations [laundry]; dry-cleaning preparations; floor wax removers [scouring preparations]; rust removing preparations; cleaning

preparations; wallpaper cleaning preparations; preparations for unblocking drain pipes; color-brightening chemicals for household purposes [laundry]; scouring solutions; turpentine, for degreasing; bleaching soda; washing soda, for cleaning; preservatives for leather [polishes]; ammonia [volatile alkali] [detergent]; shoe cream; degreasers other than for use in manufacturing processes; cloths impregnated with a detergent for cleaning; soda lye). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №392/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BIOMIO” (საიდ. №72097/03 IR 1155565) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-3 კლასის საქონლის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მინადუღის მოსაცილებელი პრეპარატები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების; ანტისტატიკები საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის; შეკუმშული ჰაერის ბალონები (დალაგებისა და დასუფთავებისას გამოსაყენებელი); გასაპრიალებელი ქაღალდი; ავეჯისა და იატაკის გასაპრიალებელი საშუალებები; ფეხსაცმლის ცვილი; საქარე მინების საწმენდი სითხეები; ვულკანური ნაცარი წმენდისათვის; დიატომური მიწა (საპრიალებელი); საპნის ხის ქერქი რეცხვისათვის; კორუნდი (აბრაზივი); თეთრეულის ლილა; წვერ-ულვაშის საღებავი; სახამებელი; სკიპიდარის ზეთი გაცხიმვისათვის; გამწმენდი ცარცი; სარეცხის ჩასალბობი პრეპარატები; პეწის მიმცემი პრეპარატები (გასახამებელი); გასაპრიალებელი პრეპარატები; სარეცხისათვის ბზინვარების მიმცემი პრეპარატები; ქსოვილის დამარბილებლები რეცხვისათვის; მათეთრებელი საშუალებები; მშრალი წმენდის პრეპარატები; იატაკის ცვილის მოსაცილებელი პრეპარატები; გამწმენდი პრეპარატები; შპალერის გამწმენდი პრეპარატები; მილების გამწმენდი საშუალებები; ფერების გამახალისებელი ქიმიური პრეპარატები (სარეცხი საშუალება) გამწმენდი ხსნარები; სკიპიდარი გაცხიმვისათვის; მათეთრებელი სოდა; გამწმენდი სოდა;

დამცავი შემადგენლობები ტყავისათვის (საპრიალებელი); ნიშადურის სპირტი (სარეცხი საშუალება დეტერგენტი); ფეხსაცმლის საცხი; გაცხიმვის საშუალებები, სამრეწველო დანიშნულების გარდა; სარეცხი საშუალებებით გაჟღენთილი ნაჭრები დალაგებისათვის; ნატრიუმის თეთქი" (scale removing preparations for household purposes; antistatic preparations for household purposes; canned pressurized air for cleaning and dusting purposes; polishing paper; polish for furniture and flooring; shoe wax; windscreen cleaning liquids; volcanic ash for cleaning; tripoli stone for polishing; quillaia bark for washing; corundum [abrasive]; laundry blueing; beard dyes; laundry starch; oil of turpentine for degreasing; cleaning chalk; laundry soaking preparations; smoothing preparations [starching]; polishing preparations; laundry glaze; fabric softeners for laundry use; bleaching preparations [laundry]; dry-cleaning preparations; floor wax removers [scouring preparations]; rust removing preparations; cleaning preparations; wallpaper cleaning preparations; preparations for unblocking drain pipes; color-brightening chemicals for household purposes [laundry]; scouring solutions; turpentine, for degreasing; bleaching soda; washing soda, for cleaning; preservatives for leather [polishes]; ammonia [volatile alkali] [detergent]; shoe cream; degreasers other than for use in manufacturing processes; cloths impregnated with a detergent for cleaning; soda lye).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ მიუხედავად დაპირისპირებული ნიშნების მსგავსებისა ისინი განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური

ასომთავრული ასოებით და შედგება ექვსი ასოსაგან. დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია სტანდარტულად პატარა ლათინური ასოებით და შედგება 7 ასოსაგან. ნიშნებში მსგავსია მხოლოდ საწყისი სამი ასო „BIO“, რომელიც წარმოადგენს ფორმანტს, მიანიშნებს ბიოწარმოებიდან მიღებულს ან ბიოწარმოებასთან დაკავშირებულს და ვერ ჩაითვლება ძლიერ ელემენტად მსგავსება/განსხვავების დადგენისას. შესაბამისად უნდა შედარდეს ნიშნების დაბოლოებები „MIO” – “meen”, რომელიც განსხვავებულია სამი ასოთი. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ბიო-მიო”, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი რადგან მთავრდება „ნ” თანხმოვანზე, ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე ემატება „ი” ხმოვანი და გამოითქმის, როგორც „ბიო-მეენი” ან „ბიო-მიინი”. ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან „BIOMIO“-ს გააჩნია სემანტიკური დატვირთვა და ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც „ჩემი ბიო“., ხოლო დაპირიპსირებულ სასაქონლო ნიშანს არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა და წარმოადგენს ფანტაზიურ სასაქონლო ნიშანს. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ამცირებს ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. საქონლის შეზღუდვის გათვალისწინებით, განსხვავებულია ასევე, ნიშნების მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რადგან განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი დაკავშირებულია სარეცხ საშუალებებთან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი დაკავშირებულია პარფიუმერიასთან და კოსმეტიკასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „BIOMIO” (საიდ. №72097/03 IR 1155565) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სპლატ-კოსმეტიკა ლიმიტიდ”-ის (SPLAT-COSMETICA Limited) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 თებერვლის №392/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BIOMIO” (საიდ. №72097/03 IR 1155565) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-3 კლასის საქონლის სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BIOMIO” (საიდ. №72097/03 IR 1155565) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მინადუღის მოსაცილებელი პრეპარატები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების; ანტისტატიკები საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის; შეკუმშული ჰაერის ბალონები (დალაგებისა და დასუფთავებისას გამოსაყენებელი); გასაპრიალებელი ქაღალდი; ავეჯისა და იატაკის გასაპრიალებელი საშუალებები; ფეხსაცმლის ცვილი; საქარე მინების საწმენდი სითხეები; ვულკანური ნაცარი წმენდისათვის; დიატომური მიწა (საპრიალებელი); საპნის ხის ქერქი რეცხვისათვის; კორუნდი (აბრაზივი); თეთრეულის ლილა; წვერ-ულვაშის საღებავი; სახამებელი; სკიპიდარის ზეთი გაცხიმვისათვის; გამწმენდი ცარცი; სარეცხის ჩასალბობი პრეპარატები; პეწის მიმცემი

პრეპარატები (გასახამებელი); გასაპრიალებელი პრეპარატები; სარეცხისათვის ბზინვარების მიმცემი პრეპარატები; ქსოვილის დამარბილებლები რეცხვისათვის; მათეთრებელი საშუალებები; მშრალი წმენდის პრეპარატები; იატაკის ცვილის მოსაცილებელი პრეპარატები; გამწმენდი პრეპარატები; შპალერის გამწმენდი პრეპარატები; მილების გამწმენდი საშუალებები; ფერების გამახალისებელი ქიმიური პრეპარატები (სარეცხი საშუალება) გამწმენდი ხსნარები; სკიპიდარი გაცხიმვისათვის; მათეთრებელი სოდა; გამწმენდი სოდა; დამცავი შემადგენლობები ტყავისათვის (საპრიალებელი); ნიშადურის სპირტი (სარეცხი საშუალება დეტერგენტი); ფეხსაცმლის საცხი; გაცხიმვის საშუალებები, სამრეწველო დანიშნულების გარდა; სარეცხი საშუალებებით გაჟღენთილი ნაჭრები დალაგებისათვის; ნატრიუმის თეთქი" (scale removing preparations for household purposes; antistatic preparations for household purposes; canned pressurized air for cleaning and dusting purposes; polishing paper; polish for furniture and flooring; shoe wax; windscreen cleaning liquids; volcanic ash for cleaning; tripoli stone for polishing; quillaia bark for washing; corundum [abrasive]; laundry blueing; beard dyes; laundry starch; oil of turpentine for degreasing; cleaning chalk; laundry soaking preparations; smoothing preparations [starching]; polishing preparations; laundry glaze; fabric softeners for laundry use; bleaching preparations [laundry]; dry-cleaning preparations; floor wax removers [scouring preparations]; rust removing preparations; cleaning preparations; wallpaper cleaning preparations; preparations for unblocking drain pipes; color-brightening chemicals for household purposes [laundry]; scouring solutions; turpentine, for degreasing; bleaching soda; washing soda, for cleaning; preservatives for leather [polishes]; ammonia [volatile alkali] [detergent]; shoe cream; degreasers other than for use in manufacturing processes; cloths impregnated with a detergent for cleaning; soda lye).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის

რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	ლ. კერესელიძე
	ი. მუღალაშვილი